ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3255021

ნომერი: AR1500683

თარიღი : 03.05.2017

გაცემის თარიღი : 11.05.2017

გაცნობის თარიღი : 15.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წერონისი , N 144 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ომარი სამადაშვილი პ/ნ 01020002660
- თბილისი ლამისყანის ქ. N 25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულადატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

მოთხოვნის ტექტსში დაზუსტდეს საპროექტო ობიექტის ფუნქცია.დანიშნულება.

„ფაილის მიმაგრება“-ს ველში აიტვირთოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, საპროექტო შენობა-ნაგებობის კონტურის დატანით და არსებულ შენობამდე მანძილის მითითებით.

აქვე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ზოგადი საცხოვრებელი ზონის არეალში. ვინაიდან აღნიშნულ ზონაში არ არის დადგენილი კონკრეტული პარამეტრები, საჭიროა ჩატარებულ იქნას მიმდებარე არეალის კვლევა განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლის შესაბამისად (14-39 დადგენილება).

გარდა ამისა გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან არსებული სიტუაციით კ1 და კ2 კოეფიციენტები გადაჭარბებულია და ამავდროულად წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილი საკითხი საჭიროებს სპეციალური ზონალური შეთანხმების მიღებას,საჭიროა საკითხი დააყენოთ "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" სხდომაზე შესაბამისი მოთხოვნით.

გარდა ამისა, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით. საჭიროა წარმოადგინოთ იპოთეკის საფუძვლები და საჭიროების შემთხვევაში იპოთეკარის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.